# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/91

ქ. თბილისი 26 მარტი 2018

**სტუ-ის ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის ერთი ფაკულტეტიდან მეორეზე გადატანის გამო ამ პროგრამის სტუდენტთათვის ფაკულტეტის შეცვლის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 მარტის №4 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის იმ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, რომლებიც გადაყვანილ იქნენ ერთი ფაკულტეტიდან მეორეზე, ჩაითვალონ გადაყვანილად იმავე საგანმანათლებლო პროგრამაზე;
2. სწავლების დეპარტამენტმა უზრუნველყოს შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**